



ღია მშარტოვნობა

საგაზეთო ჩანართი №9

მშობლების მონაწილეობისთვის სკოლამდელი ბანათლებაში

ალექსანდრე კალანდაძე, გიორგი მეხიძე,
საერთაშორისო ასოციაცია კვიტას გეორგიკა

2016 წელს მიღებული კანონის მიხედვით, ყველა საბავშვო ბაღში უნდა არსებობდეს მშობელთა და მასწავლებლებისგან შემდგარი საკონსულტაციო საბჭოები.

მშობელი და საბავშვო ბაღი პარტნიორები არიან

“ჩვენ მარტო ამას ვერ შევძლებთ.
ჩვენ თქვენი დახმარება გვჭირდება”
(ანა ლევეტი, იელის უნივერსიტეტი)

განათლების, ჯანმრთელობის, ადამიანის განვითარებისა და ფსიქოლოგიის სფეროში განხორციელებული ხანგრძლივი კვლევები ცხადყოფს, რომ პიროვნების ფიზიკური, ემოციური, და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს სკოლამდელი ასაკი. მრავალწლიანი ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ბავშვებს, რომლებმაც მიიღეს ხარისხიანი ადრეული განათლება მეტი შანსი აქვთ ზრდასრულ ასაკში იყვნენ წარმატებულნი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ადრეულ ასაკში თითოეული ბავშვისთვის ხარისხიანი განათლებისა და განვითარების ხელშეწყობი სერვისის უზრუნველყოფა. ამასთან, უნდა

“ჩაურევლობაზე” სკოლაში და კრებებზე მათთვის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლებოდა.

მიდგომები შეიცვალა. მათ შორის, ოჯახურ ურთიერთობებში. უკვე აღარაფერ დაობს, რომ ბავშვის განვითარებაში მასწავლებლის და მშობლის ერთობლივი, თანამშრომლობითი და მიზანმიმართული საქმიანობა საუკეთესო შედეგის მომტანია. ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია იმ ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება, რომელზეც უნდა იყოს აგებული მშობლების და საბავშვო ბაღების ურთიერთობა:

1. საბავშვო ბაღი და მშობლები არიან პარტნიორები ბავშვის აღზრდის და განათლების საქმეში
2. მასწავლებლებს და მშობლებს აქვთ ბავშვების აღზრდა-განათლების გაზიარებული (ერთნაირი) ხედვა;
3. მშობლებიც და მასწავლებლებიც ეხმარებიან ბავშვებს, ენდობიან და პატივს სცემენ მათ;
4. მშობლებს და მასწავლებლებს აქვთ ოჯახის და ბაღის საგანმანათლებლო-სააღზრდელო შესაძლებლობების კარგი ცოდნა და მაქსიმალურად იყენებენ მას ბავშვის განვითარებისთვის
5. არსებობს მუდმივი კომუნიკაცია და ურთიერთქმედება ბაღსა და მშობლებს შორის

თარებაზე. ასეთი ოჯახები განსაკუთრებულ მხარდაჭერას და მიდგომებს საჭიროებენ.

საბავშვო ბაღსა და მშობლის ურთიერთობაში გადამწყვეტ როლს მასწავლებელი ასრულებს.

მასწავლებლის ურთიერთობა მშობლებთან მასწავლებელმა უნდა შეძლოს პოზიტიური ურთიერთობები დაამყაროს ბავშვების მშობლებთან და მაქსიმალურად ჩართოს ისინი სასწავლო პროცესში. ეს შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მშობელთა მიერ საკუთარი ნიჭისა, საქმიანობის, პროფესიული ცოდნის გაზიარებით, ასევე მონაწილეობით სასწავლო პროცესში.

სამწუხაროდ, ხშირად მასწავლებლებსა და მშობლებს შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობაა. ეს გამომწვეულია იმით, რომ

- ნაკლებია ნდობა მშობლების მხრიდან მასწავლებლებისადმი;
- არსებობს განსხვავებული გაგება და მოლოდინები ერთმანეთის როლზე ბავშვის განვითარებაში;
- განსხვავებული წარმოდგენები მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ბავშვის აღზრდა-განათლების საკითხებზე;



გვახსოვდეს, რომ ადრეული განვითარება არ ნიშნავს მხოლოდ განვითარებას საბავშვო ბაღში ყოფნის დროს. ბავშვი ვითარდება, სწავლობს სოციალურ უნარებს, იზრდება ემოციურად და ა.შ. როგორც ინსტიტუციაში ისე მის გარეთ.

კაცობრიობა დიდი ხანია დავობს რომელს ენიჭება უპირატესი როლი ბავშვის აღზრდა-განათლებაში: ოჯახს თუ საზოგადოებას. რა უფრო მნიშვნელოვანია პიროვნების ფორმირების პროცესში: საოჯახო თუ საჯარო განათლება? ზოგი მკვლევარი ოჯახის მხარეს იდგა, სხვები უპირატესობას საჯარო დაწესებულებებს ანიჭებდნენ.

მშობელს უდიდესი როლი ეკისრება ბავშვის განვითარებაში. ამ როლის შესრულება მას, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, სახლში ეკისრება. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მშობლის მონაწილეობა ბავშვის განათლებაში და აღზრდაში სახლს გარეთ. მშობელთა ჩართულობის ხარისხზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჯერ წარმატებული ადაპტაცია ბაღის სივრცეში და შემდგომში – ბავშვის აქტიური მონაწილეობა ბაღის ცხოვრებაში.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, “მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის” თუმცა როცა მშობლების ჩართულობაზე ვსაუბრობთ, ალბათ, ყველას მშობელთა კრებები გვახსენდება. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემა სწორედაც რომ ორიენტირებული იყო მშობლების

ამ პრინციპებიდან ჩანს, რომ მშობლების და სააღზრდელო დაწესებულების დამოკიდებულება უნდა იყოს თანამშრომლობითი, რამდენადაც ორივე უნდა მოქმედებდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

რომელი ფაქტორები ახდენს ზეგავლენას მშობლების ჩართულობაზე?

ჩართულობის ხარისხზე და ფორმატზე დიდ გავლენას ახდენს ოჯახის სოციალური სტატუსი, დედების განათლება და ფსიქოლოგიური მზაობა, მარტოხელა დედობა. ნაკლებად, ეთნიკურობა. მკვლევარები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არსებობს უეჭველი კორელაცია ადრეულ ასაკში მშობლების კოგნიტურ განვითარებასა და მათ შვილებს შორის.

- როცა ვსაუბრობთ მშობლების ჩართულობაზე, ხშირად, “მშობლები” მხოლოდ დედით შემოიფარგლება. მამები, ისევე როგორც მამრობითი სქესის მასწავლებლები ნაკლებად მონაწილეობენ ბავშვების ადრეულ განვითარებაში.
- როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მასწავლებლები, ბავშვები და მშობლები, ყველა ერთად მონაწილეობს ბავშვის განვითარებაში. შესაბამისად, ყურადღება უნდა გამახვილდეს მასწავლებელი-ბავშვის, მშობელი-ბავშვის, ბავშვი-ბავშვის და მასწავლებელი-მშობლის ურთიერთობაზე;
- სტრესულ სიტუაციას ოჯახში, სიღარიბეს, უმუშევრობას, ოჯახურ კონფლიქტებს არასასურველი ზეგავლენა შეუძლიათ მოხდინონ ბავშვის განვი-

- მასწავლებლებს აკლიათ საჭირო უნარები მშობლებთან და ოჯახებთან სამუშაოდ.
- მასწავლებლებს არ აქვთ საკმარისი დრო მშობლებთან ურთიერთობისთვის.
- მშობლები დაკავებული არიან სამსახურის საქმეებით და არ რჩებიან დრო მასწავლებლებთან ურთიერთობისთვის.

კარგი მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ დაეხმაროს მშობელს გადალახოს ავტორიტარიზმი და შეხედოს ცხოვრებას თავისი ბავშვის თვალთ, იმის გათვითცნობიერებას, რომ არ შეიძლება თავისი ბავშვის შედარება სხვა ბავშვებთან, უკეთ გაიგოს თავისი შვილის განვითარების სუსტი და ძლიერი მხარეები და გაითვალისწინოს ისინი, გაუწიოს ბავშვს ემოციური მხარდაჭერა.

მშობელთა ჩართულობის მაჩვენებლები:

- მშობლებს აქვთ წარმოდგენა ოჯახის როლზე ბავშვის განათლებაში.
 - მშობლების კითხვების შინაარსი იცვლება, ინტერესი სასწავლო პროცესის მიმართ გაზრდილია
 - მშობლების მხრიდან საბავშვო ბაღის ღონისძიებებზე დასწრება იზრდება, აქტიურობა იზრდება
 - მშობელთა მხრიდან მათი დახმარების მნიშვნელობის გაცნობიერება გაზრდილია
 - საზოგადოებრივი დამოკიდებულება საკოლამდელო დაწესებულებების მიმართ იცვლება
- მშობლის და პედაგოგის ურთიერთობისთვის აუცილებელია ორივეს მოტივაცია!

მშობელთა ჩართულობის ფორმები

საბავშვო ბაღში მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები არსებობს:

ჩართულობის/მონაწილეობის ფორმები	მაგალითები	კომენტარი
ყოველდღიური, არა-ფორმალური კონტაქტი	<ul style="list-style-type: none"> • კომუნიკაცია თითოეულ მშობელთან ინდივიდუალურად ბავშვის ბაღში მიყვანის და სახლში წაყვანის დროს; • სატელეფონო, ელექტრონული ან სმს შეტყობინება, ძირითადად, პოზიტიური მესიჯის გადასაცემად; • ბექდვითი მასალა (წერილი, ფლაერი და სხვა) 	<p>მშობლები ერთმანეთისგან განსხვავდებიან და საჭიროებენ ინდივიდუალურ მიდგომას;</p> <p>კომუნიკაცია ცალმხრივია და არ მოიცავს სწავლების მეთოდებზე საუბარს;</p> <p>როგორც წესი, შეიცავს ზოგად ინფორმაციას: სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, აქტივობებისთვის საჭირო რესურსის ჩამონათვალს ან ექსკურსიის ადგილისა და განრიგის აღწერას და სხვ</p>
საერთო შეხვედრები	ყოველკვირეული ან ყოველთვიური კრებები	<p>საშუალებას იძლევა მშობლებს არა მხოლოდ მიენოდოთ ინფორმაცია, არამედ მოხდეს უკუკავშირის მიღებაც;</p> <p>ხშირად სეიდლება ატარებდეს ან ძალიან ფორმალურ ხასიათს, ან მასწავლებლებმა ბავშვების აღზრდის მეთოდები მშობლებზე გადაიტანონ და ამით კონფლიქტი შექმნან</p>
მონაწილეობა ბაღის ცხოვრებაში	<ul style="list-style-type: none"> • ღია დღეები, ზეიმები, სპორტული და თემ-ატური შეხვედრები, ცეკვა და სხვა • კითხვის საათები • პროფესიების წარდგენა 	მნიშვნელოვანი პრინციპი - ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად და არა მხოლოდ საჩვენებლად
მშობლების მოხალისეობა	<ul style="list-style-type: none"> • დახმარება ექსკურსიის დროს; • მშობლების მიერ ორგანიზებული აქტივობები 	მნიშვნელოვანია მშობლების მონაწილეობა დაგეგმვის ეტაპიდანვე; მოხალისე მშობლებს შეუძლიათ მეკავშირის როლი შეასრულონ ბაღის ურთიერთობაში
საბჭო	მშობლებისგან და მასწავლებლებისგან შემდგარი ფორმალური სტრუქტურა, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს ბაღის ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე	ღიდი ბაღის (ღიდი შემადგენლობის საბჭოს) შემთხვევაში, სასურველია რამდენიმე თემატური ჯგუფი გამოიყოს, მაგალითად, მართვის, ფინანსების, სასწავლო პროცესის.
მშობლების ორგანიზებული ბაღი	საბავშვო ბაღი, რომელიც ჩამოაყალიბეს და მართავენ მშობლები	მნიშვნელოვანია ენიჭება მშობლების განათლებას და სოციალურ სტატუსს

საბავშვო ბაღის და მშობლების ურთიერთობის ეს ფორმები, შინაარსის მიხედვით, შესაძლოა თემატურ ჯგუფებად დაგვით:

- საინფორმაციო ანალიტიკური (გამოკითხვები, „საფოსტო ყუთი“ და სხვ).
- გასართობი (ზეიმები, ტრენინგები, ექსკურსიები და სხვ.).
- შემეცნებითი (სემინარები, მშობელთა შეხვედრები, მინი-ბიბლიოთეკა, მშობელთა კლუბი და სხვ.)
- თვალსაჩინოებები (პორტფოლიო, ღია კარის დღე, გამოფენები და სხვ) მშობლების მონაწილეობა სკოლამდელი დაწესებულების მართვაში

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სკოლამდელი დაწესებულებისთვის სავალდებულოა ე.წ. „სამეთვალყურეო საბჭოს“ შექმნა. მასში, როგორც წესი, მონაწილეობენ მასწავლებლები და მშობლები. მშობლები როცა გადაწყვეტილების მიღებაში იღებენ მონაწილეობას, ამას სარგებელი მოაქვს როგორც მშობლებისთვის, ისე ბაღისთვის და მთლიანად თემისთვის. მშობლებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება ბაღისთვის თუ რა არის საუკეთესო მათი ბავშვებისთვის, როგორია დამოკიდებულება თემში, რა პრობლემებია. მათი მონაწილეობა შესაძლებელს ხდის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას საზოგადოებასთან.

ასევე, მშობლები თავადაც სწავლობენ. მეტს იგებენ ბავშვების ადრეულ განვითარებაზე, სასწავლო პროცესზე, მასწავლებლების საქმიანობაზე, როგორ მუშაობს ბაღი, როგორ ხდება პერსონალის შერჩევა, ბიუჯეტის დაგეგმვა და სხვ. მშობლები მონაწილეობას იღებენ იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელიც გავლენას ახდენს ბაღის საქმიანობაზე, მათი ბავშვების განათლებაზე. ამასთან, იზიარებენ კიდევ პასუხისმგებლობას ამ გადაწყვეტილებებზე და ხდებიან მათი



მხარდმჭერები და პროპაგანდისტები.

ბევრი საბჭოს წევრი მშობელი ასევე ასრულებს ლობისტის როლს ბაღისთვის. რადგან მათ ესმით როგორ მუშაობს ბაღი, უფრო ადვილია დაარწმუნონ სხვები მხარი დაუჭირონ და დახმარება გაუწიონ მის საქმიანობას. მათთვის, ასევე, უფრო ადვილია დაარწმუნონ და ჩართონ ბაღის ცხოვრებაში სხვა მშობლები. მოკლედ, შესაძლებლობები ულევია, მას შემდეგ რაც მშობლები გააცნობიერებენ თავს როგორც პასუხისმგებლები თავიანთი პატარების აღზრდა-განათლებაზე და ადგილზე საზოგადოებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ რიგ ქვეყნებში

მშობლების მონაწილეობა მმართველობით საბჭოებში შემოიფარგლება რჩევების მიცემით მხოლოდ. აქ მიჩნევენ, რომ საკმარისია მშობლები იყვნენ რჩევის მიმცემები, გადაწყვეტილება კი პროფესიონალებმა უნდა მიიღონ. სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევაში, მშობლები ვერ მოახდენენ საკმარის გავლენას გადაწყვეტილებებზე, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათი ბავშვების განვითარებასთან. შესაბამისად, ასეთ საბჭოებში მონაწილეობის ინტერესი თანდათან განელდება და გაქრება.

როგორც წესი, მშობელთა მონაწილეობა საბჭოში საზოგადოებრივ სანყ-

ისებზე ხდება და არ არის ანაზღაურებადი. საბჭო შეიძლება იკრიბებოდეს თვეში ერთხელ (მაგრამ, რანაკლებ 3 თვეში ერთხელ) 1-2 საათით და განიხილავს საკითხებს, რომელიც ბაღის წესდებით მის კომპეტენციას განეკუთვნება. ასევე, აწყობს სხვადასხვა ღონისძიებებს, მოიძიებს დამატებით სახსრებს და სხვ. საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის თანასწორობის უზრუნველყოფა - ის თვალს ადევნებს რომ არც ერთი ბავშვი არ დაიჩაგროს სქესის, რწმენის თუ ფიზიკური შესაძლებლობების გამო, ყველასთვის თანაბარი გარემო იყოს შექმნილი განვითარებისთვის.